დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი:

06.04.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

გიორგი მახარობლიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**204861970**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0421 Law სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 32, 0179
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 17.03.2021, #245532
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	01.03.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	01.03.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01.03.2028

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		√		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	√			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, იმგვარად რომ იგი ჩამოყალიბებული იყოს არა დარგობრივი მახასიათებლის იდენტურად არამედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;
2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგების გაზომვადობის გამარტივებასთან ერთად;

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მითითებულ საკანონმდებლო ბაზა, რათა მათში არ იყოს ძალადაკარგული კანონები (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება);
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაბამისობა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმარებით და შერჩეული იქნეს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი აკადემიურო ხარისხის, პუბლიკაციების ან/და მრავალწლიანი, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი, ადამიანის უფლებათა სამართალი).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, იმგვარად რომ იგი ჩამოყალიბებული იყოს არა დარგობრივი მახასიათებლის იდენტურად არამედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების უშუალოდ პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაზე მორგება, რაც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგისგან განსხვავებულ სწავლის შედეგთა ჩამოყალიბებას განაპირობებდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე თანდართული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, კვლავ იმეორებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები სრულად იძლევა სწავლის შედეგების ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციურად არის წარმოდგენილი, პროგრამის სწავლის შედეგები, ის უფრო ნაკლებ შედეგს ითვალისწინებს, ვიდრე ხსენებული დარგობრივი მახასიათებელი. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგში არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპებისა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, კურსდამთავრებული აღწერს თუ არა სამეწარმეო თავისუფლების დაცვის მექანიზმებს. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგების გაზომვადობის გამარტივებასთან ერთად.

რეკომენდაციის მიხედვით, გადასახედია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების როგორც მექანიზმი, ისე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. წარმოდგენილი ანგარიშისა და სამიზნე ნიშნულების მიხედვით, შეფასების სამიზნე ნიშნული და შეფასების განხორციელების დრო განახლებულია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი პირდაპირი შეფასების სრული მექანიზმი, რომელიც მოიცავდა კონკრეტული, მაგალითად, ე.წ. განმამტკიცებელი სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიმართებას პროგრამის სწავლის შედეგთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია, ხოლო შეფასების ფორმები და მეთოდები დადგენილი, თუმცა, მაგალითად, არ არის განსაზღვრული თუ ვის მიერ უნდა განხორციელდეს შეფასება. ასევე, სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგის მიღმა კიდევ სხვა უნარებს, ამიტომ ის, როგორც წესი, არ გამოდგება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც ზომავს პროგრამის სწავლის შედეგს. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

3. რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას.

რეკომენდაცია მიმართულია შრომის ბაზრის კვლევის განხორციელებსკენ. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას გამოყენებული აქვს სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, ხოლო თავის მხრივ, ჩატარებული აქვს კერძო და საჯარო სექტორის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა. გამოკითხვის კონკრეტული შედეგები დაწესებულებას გამოვლენილი აქვს და მაგალითად, პრაქტიკული კომპონტიტს გაძლიერებისკენ არის გადადგმული ნაბიჯები. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მითითებულ საკანონმდებლო ბაზა, რათა მათში არ იყოს ძალადაკარგული კანონები (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება).

მოცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ განხილულია სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ კონტესქტსში, სადაც საკანონმდებლო აქტები ძირითად ლიტერატურაში დაკონკრეტებული არ არის და მითითებულია ზოგადად გამოსაყენებელი რესურსი. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

5. რეკომენდირებულია გადაიხედოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაბამისობა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმარებით და შერჩეული იქნეს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი აკადემიურო ხარისხის, პუბლიკაციების ან/და მრავალწლიანი,

მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი, ადამიანის უფლებათა სამართალი).

რეკომენდაციის თანახმად, შესაბამისი პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიურ/მოწვეული პერსონალი უნდა შერჩეულიყო სასწავლო კურსების „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ და „ადამიანის უფლებათა სამართალი“ მიმართ. წარმოდგენილი ანგარიშისა და პერსონალის CV-ის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია მათი აკადემიური ხარისხის, პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, იმგვარად რომ იგი ჩამოყალიბებული იყოს არა დარგობრივი მახასიათებლის იდენტურად არამედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების უშუალოდ პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაზე მორგება, რაც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგისგან განსხვავებულ სწავლის შედეგთა ჩამოყალიბებას განაპირობებდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე თანდართული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, კვლავ იმეორებს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები სრულად იძლევა სწავლის შედეგების ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციურად არის წარმოდგენილი, ის უფრო ნაკლებ შედეგს ითვალისწინებს, ვიდრე ხსენებული დარგობრივი მახასიათებელი. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგში არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპებისა და ეროვნული მოდელის თავისებურებები, არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, კურსდამთავრებული აღწერს თუ არა სამეწარმეო თავისუფლების დაცვის მექანიზმებს. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა[15]I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სამართლის დარგობრივი მახასიათებელი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგების გაზომვადობის გამარტივებასთან ერთად
შეფასება	რეკომენდაციის მიხედვით, გადასახედია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების როგორც მექანიზმი, ისე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. წარმოდგენილი ანგარიშისა და სამიზნე ნიშნულების მიხედვით, შეფასების სამიზნე ნიშნული და შეფასების განხორციელების დრო განახლებულია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი პირდაპირი შეფასების სრული მექანიზმი, რომელიც მოიცავდა კონკრეტულ, მაგალითად, ე.წ. განმამტკიცებელ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიმართებას პროგრამის სწავლის შედეგთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია, ხოლო შეფასების ფორმები და მეთოდები დადგენილი, თუმცა, მაგალითად, არ არის განსაზღვრული თუ ვის მიერ უნდა განხორციელდეს შეფასება. ასევე, სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგის მიღმა კიდევ სხვა უნარებს, ამიტომ ის, როგორც წესი, არ გამოდგება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც ზომავს

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამის სწავლის შედეგს. შესაბამისად, რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა[17]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სამიზნე ნიშნულები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია, სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების იმ კომბინაციით, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების უფრო მაღალ ვალიდურობას
შეფასება	რეკომენდაცია მიმართულია შრომის ბაზრის კვლევის განხორციელებსკენ. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას გამოყენებული აქვს სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, ხოლო თავის მხრივ, ჩატარებული აქვს კერძო და საჯარო სექტორის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა. გამოკითხვის კონკრეტული შედეგები დაწესებულებას გამოვლენილი აქვს და მაგალითად, პრაქტიკული კომპონტიტს გაძლიერებისკენ არის გადადგმული ნაბიჯები. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევაIII	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსები

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მითითებულ საკანონმდებლო ბაზა, რათა მათში არ იყოს ძალადაკარგული კანონები (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება)
შეფასება	მოცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ განხილულია სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ კონტესქტსში, სადაც საკანონმდებლო აქტები ძირითად ლიტერატურაში დაკონკრეტებული არ არის და მითითებულია ზოგადად გამოსაყენებელი რესურსი. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევა IV	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსები
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია გადაიხედოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაბამისობა კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმართებით და შერჩეული იქნეს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი აკადემიურო ხარისხის, პუბლიკაციების ან/და მრავალწლიანი, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი (მაგ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი, ადამიანის უფლებათა სამართალი).
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად, შესაბამისი პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიურ/მოწვეული პერსონალი უნდა შერჩეულიყო სასწავლო კურსების „საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკუმი“ და „ადამიანის უფლებათა სამართალი“ მიმართ. წარმოდგენილი ანგარიშისა და პერსონალის CV-ის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია მათი აკადემიური ხარისხის, პუბლიკაციებისა თუ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად. შესაბამისად, რეკომენდაცია

	შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევა V	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სასწავლო გეგმა; • პერსონალის CV.

ექსპერტის ხელმოწერა